

ავთანდილ არაბული

ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ

ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე რამდენიმე გადაწყვეტი ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს იმისათვის, რომ ქართული ენის ფუნქციონირების ფარგლები და ნორმატიული სტანდარტები უკიდურესად გაუარესებულიყო; შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასე მოკლე პერიოდში ასეთი სწრაფი ტემპით დაცემულიყო ენობრივი კულტურის საყოველთაო განცდა და ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის საინსტიტუციო შეგნება.

რა ფაქტორებმა განაპირობა ასეთი კრიტიკული ვითარების შექმნა:

1. ქართული სახელმწიფოს ფორმირების უაღრესად გაჭიანურებულმა პროცესმა, რაც, უპირველესად, ფორმალური სახელმწიფოებრიობიდან (საბჭოური რესპუბლიკა) რეალურ, დამოუკიდებელ სახელმწიფო სისტემაზე გადასვლისათვის გაუაზრებელი, ცვალებადი ორიენტირებითა და, ხშირად, მცდარი ტაქტიკით მოქმედებას გულისხმობს;

2. გეოპოლიტიკურ გარემოებათა არასასურველმა გადაკვეთამ დროსა და სივრცეში;

3. პოლიტიკური პარადიგმის კარდინალური ცვლილების სათანადოდ გაუაზრებლობამ უპირველესად ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით;

4. ქვეყნის ტექნიკურმა და მენტალურმა მოუმზადებლობამ ღია (ელექტრონული) საინფორმაციო სივრცის მიერ შემოთავაზებული სწრაფად ცვალებადი, აქტიური პირობებისათვის;

5. მართვის დემოკრატიული პრინციპების არსებითად არასწორმა ინტერპრეტაციამ;

6. ახალი განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში ენის ფაქტორის არსებითმა იგნორირებამ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში (რომლის ძირითადი ნაწილი ამ მხრივ დამაბული იდეოლოგიური პერიოდიდან მოდის) ენობრივი საფრთხეების შეგნება და შესაბამისი მოთხოვნებიც საკმაოდ მაღალია, თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში არ

მოხერხდა რაიმე ქმედითი ღონისძიებები შემუშავებულიყო მზარდი კრიზისის შესაჩერებლად. პირიქით, ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ყველაფერი გაკეთდა იმ ფორმალური ინსტიტუციების საბოლოოდ მოსაშლელად, რომელთაც ნაწილობრივ მაინც შეეძლოთ პრობლემებთან გამკლავება.

ამ ფონზე მართლაც ისტორიულ მოვლენად უნდა შეფასდეს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის ივლისის ბოლოს მიიღო და, ამავე კანონის დათქმით, 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

ამდენად, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების შემდეგ ჩვენ უკვე ვიმყოფებით ახალი რეალობის წინაშე და მოგვიწევს თვალი გავუსწოროთ იმ ძნელად დასაძლევ პრობლემებს, რომელთა წარმოქმნაშიც ჩვენს აქამდე შეცდომებსა და უმოქმედობას მიუძღვის ბრალი.

რა შესაძლებლობებს სახავს და რა ვალდებულებებს აწესებს კანონი სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით? გამოვყოთ კანონის ის რამდენიმე ძირითადი მომენტი, რომლებიც ენობრივი ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების მოწესრიგებას შეეხება.

უპირველესად, ცხადია, გვინტერესებს ენის ფუნქციონირების ის სფეროები, რომლებმაც მკვეთრი ტერმინოლოგიური ცვლილებები განიცადა; ეს არის მეცნიერების თითქმის ყველა დარგი და ინფორმატიკის სფერო. კანონი მიგვითითებს ამ სფეროებში სახელმწიფო ენის განვითარების მნიშვნელობაზე:

მუხლი 30. ენის გამოყენება მეცნიერების სფეროში

1. ქართულენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო (სამეცნიერო) დაწესებულებებში აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევების შედეგები, როგორც წესი, ფორმდება და ვრცელდება სახელმწიფო ენაზე.

3. საქართველოს ტერიტორიაზე სამეცნიერო კვლევის შედეგების არასახელმწიფო ენაზე გამოქვეყნების შემთხვევაში მას უნდა ახლდეს რეზიუმე სახელმწიფო ენაზე.

4. ტექნიკურ დოკუმენტაციასა და საქმისწარმოებაში გამოიყენება ერთიანი ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია.

მუხლი 31. ენის გამოყენება ინფორმატიკის სფეროში

1. სახელმწიფო ხელს უწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიებში ქართული ენის სრულფასოვან გამოყენებას.

2. კომპიუტერული (ელექტრონული) ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, უნდა იძლეოდეს ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულების შესაძლებლობას.

თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროცესების განსაკუთრებული სისწრაფით განვითარებამ და ქართული სამეცნიერო სისტემის საგრძნობმა შეფერხებამ ამ პროცესებთან ადაპტაციის თვალსაზრისით განაპირობა ის, რომ თითქმის არცერთი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულება არ აღმოჩნდა მზად სახელმწიფო ენის საფუძველზე განვითარებინა ახალი სამეცნიერო იდეები და მეთოდოლოგია. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ცალკეულმა სამეცნიერო ჯგუფმა ან საერთოდ თქვა უარი ტრადიციულ ქართულ სამეცნიერო ენაზე, ანდა გადაწყვიტა, ერთიანი პოლიტიკის არარსებობის გამო, ავტონომიურად და „პარტიზანულად“ გადაეწყვიტა თავის სფეროში წარმოქმნილი სპეციალური ენობრივი პრობლემები. ვინაიდან თანამედროვე განათლების სისტემა ამ თვალსაზრისით მთლიანად არის დამოკიდებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე, სამეცნიერო ენის კრიზისი დაუყოვნებლივ აისახა სასკოლო და, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების საერთო მდგომარეობაზე. შემოთავაზებული საკანონმდებლო ნორმები, იმედია, ხელს შეუწყობს თვითშემოქმედების დაძლევასა და სისტემური მიდგომების ჩამოყალიბებას ამ სფეროში. შემდგომ ეტაპზე ამ გეგმებს მეტი დაზუსტება-დაკონკრეტება დასჭირდება, მით უფრო, ინფორმატიკის სფეროში, რომლის საკანონმდებლო რეგულირება ამ ეტაპზე მინიმალურია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევთ სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და მასთან არსებულ სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას.

სახელმწიფო ენის ერთიანი, კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სპეციალური

პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ პროგრამის როლი და მნიშვნელობა კანონის ძირითად ცნებათა ჩამონათვალში შემდეგნაირად განისაზღვრება:

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა – სახელმწიფო ენის განვითარების, მისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის, ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის ძირითად მიმართულებათა განმსაზღვრელი ერთიანი დოკუმენტი, რომელსაც შეიმუშავენ სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ხოლო პროგრამის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს კანონის ცალკე მუხლი წარმოგვიდგენს:

მუხლი 37. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა

1. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ენის განვითარების ერთიან პროგრამას.

2. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოები.

3. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველთა ინტერესების მაქსიმალურ უზრუნველყოფას; მეთოდური და სასწავლო რესურსების მომზადებას სახელმწიფო ენის სწავლებისა და ენობრივი კულტურის ამაღლების მიზნით; სახელმწიფო ენის სწავლებას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე; ბილინგვური სწავლების დანერგვას ენობრივ უმცირესობათა ჯგუფებში.

ბ) სახელმწიფო ენის სტრუქტურისა და ისტორიის, მისი ფუნქციონირების თავისებურებათა თანმიმდევრულ კვლევას; თანამედროვე ქართულის ერთიან ლექსიკოგრაფიულ უზრუნველყოფას; სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების სრული კორპუსის მომზადებას.

გ) სახელმწიფო ენის სრულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას; ენობრივი მონაცემების (ტექსტების) თანამედროვე სრულყოფილი ციფრული ბაზების შექმნას; საძიებო, ანალიზურ-ოპერატიული და მთარგმნელი კომპიუტერული პროგრამების მომზადებას.

4. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. სახელმწიფო ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას სახელმწიფო ენის პროგრამის განხორციელების მიზნით.

მხოლოდ პროგრამულ მიზანდასახულებათა გაცნობაც ნათელს ხდის, რომ ენობრივი პოლიტიკის სისტემურ განხორციელებას აუცილებლად სჭირდება სათანადო სახელმწიფო ინსტიტუცია, მხოლოდ ამით მიიღებს დასრულებულ სახეს თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობის პრინციპი: კანონი + ინსტიტუცია. კანონის მიხედვით გათვალისწინებულია საკმაოდ მოქნილი სახელმწიფო სტრუქტურა ენობრივი პოლიტიკის წარმართვის სფეროში; ეს არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტი:

მუხლი 36. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

1. სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში, მის პოპულარიზაციას, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასა და დანერგვას უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელიც ამ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

2. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

5. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

6. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას სახელმწიფო ენის დაცვის, განვითარებისა და გამოყენების სფეროში;

ბ) შეიმუშავებს და გამოსცემს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარებისათვის აუცილებელ ნორმატივ აქტებს;

გ) ახორციელებს ზედამხედველობას „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებაზე;

დ) ქმნის სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას და მის მიერ შემუშავებულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებსა და ტერმინოლოგიურ სტანდარტებს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას;

ე) შეიმუშავებს სახელმწიფო ენის ერთიან პროგრამას და კოორდინაციას უწევს მის შესრულებას;

ვ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს აძლევს რეკომენდაციებს ენის გამოყენების სფეროში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად;

ზ) „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და ენობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს დამრღვევი პირის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

თ) ახორციელებს საინფორმაციო და მეთოდური უზრუნველყოფის ღონისძიებებს სახელმწიფო ენის სფეროში;

ი) ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს ნიშნავს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

8. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წარდგინებით მთავრობის მიერ დამტკიცებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების დაცვა სავალდებულოა.

9. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო ორგანოებიდან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან და ინდივიდუალური საწარმოებიდან გამოითხოვოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ამ კანონით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოებისა და პირთა მიერ დეპარტამენტისათვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად. გამოთხოვილი ინფორმაცია დეპარტამენტს უნდა წარედგინოს მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მე-6 პუნქტით საკმაოდ დეტალურად არის მინიშნებული დეპარტამენტის ფუნქციები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მასთან არსებული სახელმწიფო ენის ექსპერტთა მუდმივი კომისიის მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით. კანონის თანმხლები განმარტებითი

ბარათი, თავის მხრივ, განამტკიცებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება ენობრივი სტანდარტების ნორმატიულ მოწესრიგებას:

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობასთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის – შექმნას. ეს დეპარტამენტი მოიაზრება, როგორც ინსტიტუცია, რომელსაც დაეკისრება სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, ენის განვითარებასა და შესწავლაზე ზრუნვა.

დეპარტამენტის ფარგლებში იარსებებს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია, რომელიც შეიმუშავებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და ტერმინოლოგიურ სტანდარტებს. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ენის ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ენის განვითარების ერთიან პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო ენის სტრუქტურისა და ისტორიის, მისი ფუნქციონირების თავისებურებათა თანმიმდევრულ კვლევას; თანამედროვე ქართულის ერთიან ლექსიკოგრაფიულ უზრუნველყოფას; სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების სრული კორპუსის მომზადებას.

ბ) სახელმწიფო ენის სრულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას; ენობრივი მონაცემების (ტექსტების) თანამედროვე სრულყოფილი ციფრული ბაზების შექმნას; საძიებო, ანალიზურ-ოპერაციული და მთარგმნელი კომპიუტერული პროგრამების მომზადებას.

სრულიად აშკარაა, რომ მესამე ათასწლეულის დასაწყისი ახალი გამოცდის (თანამედროვე გამოთქმით: გამოწვევის) წინაშე აყენებს ისტორიულ ენებს. ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია ეროვნულ და სახელმწიფო ენათა ფორმირების იმ გზის გავლა, რაც პირველი თუ მეორე ათასწლეულის გამოცდილებით იხილვება. ცივილიზაციის ამ ეტაპზე, ერთი მხრივ, თითქოს უკიდურესად გამარტივდა ენის საკომუნიკაციო დატვირთვა, მაგრამ, მეორე მხრივ, იმდენად მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი, დინამიკური და ინტენსიური გახდა ოფიციალური (სახელმწიფო) ენების არსებობის პირობები, რომ ტრადიციული, უკვე მოპოვებული საარსებო სივრცის შენარჩუნება თვით მოწინავე ენებისთვისაც კი დღეს მართლაც სასიცოცხლო პრობლემაა. ამიტომაც დგას დღევანდელი განვითარებული ქვეყნების წინაშე, როგორც სტრატეგიული ამოცანა, თანამიმდევრული პრაგმატული პო-

ლიტიკის დაგეგმვა სახელმწიფო ენათა ფუნქციონირებისა და განვითარების მიმართულებით.

ისტორიულმა პროცესებმა თავისთავად განაპირობა ჩვენი ქვეყნის განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპის დაწყება. მოსამზადებელი დრო მისი წარმართვისათვის ქვეყანას არ ჰქონია. იმდენად სწრაფად და ექსტრემალურად იცვალა გეოპოლიტიკური პარადიგმა, იმდენად ინტენსიურად განვითარდა პოლიტიკური და კულტურული მოვლენები, რომ ყოველივე ამას უპირატესად მხოლოდ ძველის საფუძვლიანი მოშლა მოჰყვა, ახლით კი არსებითად არაფერი ჩანაცვლებულა, ანდა იმდენად დაჩქარებულად და გაუაზრებლად ჩანაცვლდა, საღი ანალიზი და შეფასებაც არ უხერხდება...

ეს პროცესი განსაკუთრებულად შეეხო განათლებისა და მეცნიერების სისტემას. თითქმის არ არსებობს დღეისათვის დარგი და სფერო, რომელსაც პროფესიული, დარგობრივი ენის რეფორმის მწვავე აუცილებლობა არ ჰქონდეს, რომელსაც ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი არ სჭირდებოდეს. თანამედროვე საქართველოში ძირითადად სწორედ ამ დარგობრივმა „თეთრმა ლაქებმა“ შექმნა სახელმწიფო ენისა და, შესაბამისად, საგანმანათლებლო სფეროს (ფართო შინაარსით) ის კრიზისი, რომლის დაძლევის აუცილებლობას დღეს ყველა ხედავს და აღიარებს.

სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ და კულტურულ პარადიგმასთან საქართველოს თანდათანობითი, თუმცა გაჭიანურებული ადაპტაციისა და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გამეფებული არსებითად ქაოსური პირობების შემდგომ მართლაც ფუნდამენტური ხასიათისაა კითხვა: რა ზოგად პრინციპს უნდა დაეფუძნოს თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიური „მშენებლობა“? კვლავაც თვითდინების პროცესს მივანდოთ ძირეული ცვლილებები თითქმის ყველა დარგსა და სფეროში თუ ამ ცვლილებათა შეუქცევადი პროცესი რაიმე მართვის მექანიზმს დავუქვემდებაროთ?

ვფიქრობთ, ქართული მწიგნობრობის მიერ გავლილი გზა ამ თვალსაზრისით საკმაოდ ნათელსა და პრაქტიკულად ერთობ გამოცდილ ორიენტირებს გვთავაზობს.

ქართული ეროვნული ენის განვითარების ისტორია ფაქტობრივ არასოდეს ავლენს პურიზმის სულისკვეთებას. ამავე დროს, ქართული მწიგნობრული ენის განვითარების ყოველი ეტაპი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორი თანამიმდევრული, მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობდა ტერმინოლოგიის გასაქართულებლად. ამი-

სი დასტურია უადრესი მთარგმნელობითი პრაქტიკა, საბაწმიდური, ათონური, ტაო-კლარჯული, გელათური სკოლები, იოანე პეტრიწი...

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ახალი, ძლიერი კულტურული ტალღის გააზრებული ენობრივი ადაპტირების, ცნებათა უახლესი სისტემის ჩამოყალიბების უადრესად საინტერესო გამოცდილებას გვთავაზობს ქრისტიანული მწიგნობრობის უადრესი ნიმუშებიდანვე. ქრისტიანული მსოფლალქმის დამკვიდრება და ღვთისმსახურების მთელი კანონიკის ჩამოყალიბება მოითხოვს არა მხოლოდ კონკრეტული საკულტო სახელების გათავისებას (მაგალითად, ბერძნული წარმომავლობის ტერმინები: **ამბიონი, კანკელი, ოლარი, ემბაზი, აიაზმა...**), ისე რიტუალურ ტერმინთა (**წირვა, კურთხევა, ლიტანია, პარაკლისი, ექსორია...**) და ზოგად ფილოსოფიურ ცნებათა (**მესია, სამოთხე, გენია, სული, სიტყუა...**) დამკვიდრებას.

განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ქართული ქრისტიანული საღვთისმეტყველო ენის შემქმნელნი ბრმად არ მისდევენ კულტურის შემოტანი ენის (ენების) კარნახს და გააზრებულ, თანამიმდევრულ მუშაობას ეწევიან აღნიშნული შინაარსის ტერმინთა და ცნებათა გაქართულებისათვის, საზოგადოდ, ქართული საღვთისმეტყველო ენის ჩამოყალიბებისათვის. ცნობილია, რამდენად წარმატებული იყო ეს სულიერი ღვაწლი. ქართული ძირეული და სიტყვაწარმოებითი მასალის საფუძველზე ყალიბდება ისეთი მნიშვნელოვანი, ფუძემდებლური ტერმინები, როგორებიცაა: **აღდგომა, ხარება, სახარება, მირქმა, ნათლისღება, აღთქმა, აღსარება, შემოქმედი...** ყალიბდება მსოფლმხედველობრივი ცნებები: **სული, სამშვინველი, სხეული... ნათელი, ბნელი, ზეცა, ქუეყანა, ქუესკნელი... საწუთ[რ]ო, საუკუნო...** უძველესი სამიწათმოქმედო ტერმინოლოგიის წარმომადგენელი ერთეული **ქუეყანის-მოქმედი** „მიწათმოქმედი, გლეხი“ გვიჩვენებს, რომ მნიშვნელობის განზოგადებამდე, ანუ ახალ იდეოლოგიამდე **ქუეყანა** „მიწას, ნიადაგს“ აღნიშნავდა (შდრ. ამავე წარმოქმნილ სიტყვაში შემავალი ფუძე – „ყანა“), ხოლო შემდეგ მან მიიღო „დედამიწის, [მიწიერი] სამყაროს (შდრ. **მყარი**)“ მნიშვნელობა, შესაბამისად იმ მსოფლმხედველობისა, რომელიც ქაოსის უფლისმიერ განწესრიგებას უკავშირდება. ცნებებმა **სული, სულიერება...** ასევე სხვა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა, რაც ის გამოცხადდა ღვთის მსგავსად დაბადებული ადამიანის კუთვნილებად და, შესაბამისად, შემოვიდა ტერმინები **მშვინვა, სამშვინველი, მშვინვიერება...** სხვა ცოცხალ არსებათა (ცხოველთა) „სულიერი“ არსებობის გამოსახატავად. ამ ახალ მიმართებებში, მოსა-

ლოდნელია, მნიშვნელობათა გადაწევა და ახალი განზოგადება განეცადა სომატურ ტერმინებსაც: **ხორცი, გუამი, სხეული...**

განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ინფორმაციას შეიცავს ის ტერმინები, რომლებიც როგორც მზა ცნებითი მასალა, ისე გადმოსცემია ახალ მოძღვრებას: **მღვდელი, ხუცესი, მოციქული, კურთხევა, ნათლის-ცემა...**

დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა ამგვარი ტერმინოლოგიური დერივაციის მთელი მწკრივები, ამსახველი ქართული ენის განუზომელი შესაძლებლობებისა ნებისმიერი სააზროვნო ამოცანის გადასაწყვეტად; მაგალითად, ერთი მხრივ: **ცნობა, ცნობიერი, ცნობიერება, მეცნიერება, შემეცნება, უმეცრება...** მეორე მხრივ: **არსი, არსება, არსებითი, არსებობა, საარსო, უარსო, არარსი, არარაობა...**

რაც მთავარია, ჩამოყალიბდა ძირითადი წარმომქმნელი მოდელები, რომელთა სწორი გამოყენება ნებისმიერი ენობრივი ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. ძველ ქართულშივე გამოიკადა სიტყვაწარმოების არაერთი მოდელი, რომლებიც შემდეგ საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა ტერმინოლოგიური „სიცარიელის“ შესავსებად; გავიხსენოთ ზოგი მათგანი:

1. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სიტყვაწარმოებითი ფუნქციით: **თვისი, უკუნისი, ერგასისი, მყისი, დღისი...**

2. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ახალი ტერმინების საწარმოებლად: **არსებითი, მოქმედებითი, მსგავსებითი, მეტყულებითი, ქუეითი, ბუნებითი...**

3. ტერმინების წარმოქმნა ვითარებითის ფორმით (მათ შორის – მასდარის საფუძველზე): **ჭამადი, სუმადი, ხრწნადი, ქმნადი, ცვალებადი, ცნობადი...**

4. –ედ სუფიქსის გამოყენებით: **თუალედი, კარედი, კუთხედი, ჯაჭუედი, კამარედი...**

5. –იერ სუფიქსით: **ძლიერი, გონიერი, სულიერი, ლმობიერი, სახიერი, მეცნიერი, ქუეყნიერი, პოვნიერი, ჭუვნიერი, ზომიერი...**

6. –ოვან: **ძნელოვანი, ჰაეროვანი, კეროვანი, ფეროვანი, გემოვანი, ენოვანი, ნაყროვანი...**

7. –ოსან: **პატიოსანი, ხელოსანი, რქოსანი, ფრთოსანი, გვირგვინოსანი, ცხენოსანი, ფიჩოსანი...**

8. –ობ-ი: **ყანობი, ველობი, მლამიობი...**

9. –ება/-ობა: **მეტყუელება, არსობა, არსება, არსებობა, გონება, გონიერება, გრძნება, გრძნობა, მხედველობა...**

10. სი-ე: სიზრქე, სივრცე, სისრულე, სიმარტივე...

11. გამოყენებულია ზმნის პირიანი ფორმების გასახელება: არ-სი, მსგავსი, იბრვისი, იქცევისი...

12. ტერმინთა წარმოქმნის ერთ-ერთი ასეთი გამოცდილი მეთოდი ჩანს კალკირება. ენათა ურთიერთგავლენის ეს გზა საკმაოდ უარყოფითად აღიქმება სინქრონიულ ჭრილში, განსაკუთრებით კი – სინტაქსის დონეზე; მაგრამ, ამავე დროს, ისტორიული თვალსაზრისით ის შეიძლება ვაღიაროთ ენის გამდიდრების ერთ-ერთ მექანიზმად და ეს უპირველესად ტერმინოლოგიას შეეხება; მაგალითად: ყოვლის-მპყრობელი (pantokratōr), თვით-მპყრობელი (avtokratōr), წინა-წარ-მეტყველი (profetes), მხოლოდ-შობილი (monogenes), ძვირის-მოქმედი (kakopoiōs), თანა-შემწე (synergētōs), თანა-მოღვაწე (syneθlesan), ქუე-მდებარე (katakeimenon)... ცნობილია, რამდენად აქტიური აღმოჩნდა ეს მოდელი ბოლო ორი-სამი საუკუნის განმავლობაში, უკვე სხვა ენობრივ მიმართებაში (წინადადება, ქვემდებარე, თანამშრომელი, თანაშემწე, თვითმცლელი, თვითმფრინავი...).

ამ და მსგავსი მოდელებით ტერმინთა წარმოების მნიშვნელოვან მაგალითებს გვაწვდიან ძველი ქართული სამონასტრო-სამწიგნობრო სკოლები, ცალკეული მთარგმნელნი და ღვთისმეტყველნი; შემდგომ ეს პროცესი აქტიურდება XVIII-XIX საუკუნეებში, განსაკუთრებით 60-იანელთა მოღვაწეობის შემდგომ, როცა სიმწიფეში შედის ეროვნული უნივერსიტეტის იდეა.

მე-20 საუკუნეში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებამ და ამ ძლიერ საფუძველზე ქართული სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებამ მეცნიერების არსებითად ყველა დარგში განაპირობა აღნიშნული მემკვიდრეობის სრულფასოვანი გამოყენება და კვლავ წარმოაჩინა ქართული ტერმინთშემოქმედების ამოუწურავი შესაძლებლობები. ასე ჩამოყალიბდა ქართული სამეცნიერო ენები, დაწყებული პირველივე საუნივერსიტეტო ლექციებიდან და კურსებიდან და დამთავრებული კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სპეციალური სამუშაოებით, არსებითად ყველა ძირითად დარგსა და სპეციალობაში – მათემატიკასა და ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიაში, ლინგვისტიკასა და ისტორია-არქეოლოგიაში, ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, იურისპრუდენციასა და პოლიტოლოგიაში, მეტალურგიასა და არქიტექტურაში, გეოლოგიასა და მინერალოგიაში, მედიცინასა და ფარმაციაში... ერთი სიტყვით, ყველა სფეროში, რაც კი ეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვან ფუნქციონირებას უკავშირდება

და განაპირობებს. ქართული ტერმინოლოგიის ისტორია ეროვნული ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (საკითხი საფუძვლიანად აქვს ნაკვლევი რ. ღამბაშიძეს; იხ. მისი „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, თბ. 1986).

ყოველივე ამის წარმოჩენა ამჯერად ემსახურება და ხელშეახებს ხდის იმ სავალალო, ძნელად შესაგუებელ ვითარებას, როდესაც თითქმის არაფერი კეთდება სამეცნიერო-ტექნიკური ენების ჩამოყალიბების უახლეს, უაღრესად რთულ ეტაპზე. ტერმინოლოგიური და, საზოგადოდ, ნორმატიული ხელმიშვებულობა მძიმე შედეგებად აღიბეჭდება ნებისმიერ დარგში, თვით სასკოლო სახელმძღვანელოების დონეზეც კი; ე. ი. აღიბეჭდება მომავალი თაობების ცნობიერებასა და ენობრივ მსოფლალქმაში...

მაგალითად, ავიღოთ ერთ-ერთი სასკოლო სახელმძღვანელო (ბუნება, მე-6 კლ.):

აბიოტური ფაქტორები, ბიოტური ფ., ადაპტაცია, ალკოჰოლი, არეომეტრი, არქტიკა, ასტეროიდი, ინდიკატორები, ბოტულიზმი, გალაქტიკა, ლანდშაფტი, ეკოლოგია, ეპიდემია, ეკოსისტემა, ენდემური, ზენიტი, ინფექციური, იმუნიტეტი, კომეტა, კონკურენცია, კონდენსატორი, ლაბორატორია, ლანდშაფტი, მასა, მეტეორი, მეტეორიტი, მიკროორგანიზმი, ნარკომანი, ნიკოტინი, ორგანიზმი, პლანეტა, პოლუსი, პოლარული წრე (დღე, ღამე, ნათება), პარალელი, პასიური, პარაზიტიზმი, რადიაცია, სიმბიოზი, ტროპიკ(ებ)ი, ტიპობრივი, ტუბერკულოზი, ტელურიუმი (ხელსაწყო), ტრაექტორია, ფლორა, ფაუნა, ფიზიკა, ფიზიკური, ქიმია, ქიმიური (მოვლენა, რეაქცია), შხამქიმიკატები, ციროზი...

ცხადია, ამ ტერმინთა უმეტესობა კანონიერი ნაწილია ქართული სალიტერატურო ენისა, მაგრამ მთავარია, რომ ამგვარი სახელმძღვანელოების ენაში არა ჩანს ნება და მცდელობა მაქსიმალურად განიტვირთოს დაწყებითი კლასის ტექსტები უცხოური ცნებებისაგან, დაჩნდეს მშობლიური ენის შესაძლებლობები; რაც მთავარია, არავინ აღრიცხავს, რა რაოდენობის უცხო ტერმინოლოგია იყრის საერთო ჯამში თავს ერთი კლასის ფარგლებში და რამდენად შეესაბამება ერთმანეთს სხვადასხვა სახელმძღვანელოში მოყვანილი ცნებები, მათი დაწერილობა და შინაარსი...

დარგობრივ ენებზე საუბრისას, ნორმატიული თვალსაზრისით, ალბათ ყველაზე მეტი პრეტენზია განათლების სფეროს წაეყენება; ბუ-

ნებრივია, სწორედ ის იყოს ერთგვარი ნიმუში სახელმწიფო ენასთან დამოკიდებულებისა. სინამდვილეში კი თანამედროვე „განათლების ლექსიკონი“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია შესაბამისი „მეურნეობისათვის“ დაუდევარი მოპყრობისა. აქ სწორედ უცხო ლექსიკონს განუკითხავი გავრცელებაა წახალისებული. აი, ამ ლექსიკონის მაგალითები:

ბილინგვიზმი, გუვერნიორი, გუვერნანტი, დევიანტური ქცევა, დევოლუცია, დივერსიფიკაცია, ედუკოლოგია, ელექტური (საგნები), ელექტურობის პრინციპი, ვაუჩერი, ვირტუალური (განათლება), ინტეგრირებული, ინტერაქტიური, კომბინირებული, კომპენსატორული (განათლება), კომპეტენცია, კომუნიკაცია, კონფესიური (სკოლა), კორექცია, კრედიტი, კურაცია, კურიკულუმი, მოდული, მონიტორინგი, მოტივაცია, პედოლოგია, პრეტესტი, პოსტტესტი, პროგიმნაზია, რეპროდუქციული (ტრანსმისიური) სწავლება, სენდვიჩ-კურსი, სენსორული აღზრდა, სერტიფიცირება, სილაბუსი, სოციალიზაცია, სტანდარტი, ტრეინინგი, ტრენერი, ტუტორი, ვორკშოპი, პორტფოლიო, ესესმენტი...

ის, თუ რა ვითარებაა უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულ სახელმძღვანელოებში, თანამედროვე სოციოლოგიაში, საბანკო-საფინანსო სფეროში და სხვ., ეს ცალკე თემაა... თანამედროვე კომპიუტერული ლექსიკონი კი, მათ შორის, ენობრივი „კაპიტულაციის“ საუკეთესო ილუსტრაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული!..

ვფიქრობთ, კანონი სახელმწიფო ენის შესახებ სრულიად საკმარის დასაყრდენს ქმნის იმისათვის, რომ ენობრივი პოლიტიკის სფეროში მიზანმიმართული და კარგად გათვლილი ინსტიტუციური ქმედებები განხორციელდეს. როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით საკმაოდ მყარი მეცნიერული და პრაქტიკული მემკვიდრეობა მოგვეპოვება. სწორედ ამ ისტორიული გამოცდილებისა და მდიდარი მემკვიდრეობის საფუძველზე, გარდამტეხ ეპოქათა გაკვეთილების გათვალისწინებით, ქვეყნის უახლესი საგანმანათლებლო ამოცანა დარგობრივი ენების უსწრაფეს ჩამოყალიბებასთან, თანამედროვე ტერმინოლოგიის მოწესრიგებასთან არის დაკავშირებული. სწორედ აქ იყოს თავს პროფესიული განათლებისა და მეცნიერების განვითარების ყველაზე აქტუალური სამამულო ამოცანები და ეს უნდა იყოს სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებათა ერთ-ერთი გამოკვეთილი პრიორიტეტი.

ლიტერატურა

ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი

ღამბაშიძე, 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი

შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი

ჩიქოზავა, 1950 – არნ. ჩიქოზავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, 1, თბილისი

Avtandil Arabuli

Terminological Policy and the Law of the State Language

Summary

It is quite clear that the beginning of the third millennium makes the historical languages face the new challenges. At this stage of the development of the civilization, on the one hand, it seems that the communicative function of a language became extremely simplified but on the other hand the conditions of the existence of the official (state) languages became so versatile, comprehensive, dynamic and intense that keeping the traditional, gained living space is a vital problem even for the leading languages. That is why planning the rational, pragmatic policy of the functioning and development of the state languages is a strategic objective for today's developed countries.

At present, there is almost no field that does not need a reform of a professional, specialized language, a specialized, terminological dictionary. In modern Georgia mainly those “white spots” caused the crisis of the state language and accordingly of the educational sector (with a broad scope) and everyone sees and recognizes the need of tackling it.

We believe that the law of the state language will be a sufficient support in order to make deliberate and well-planned institutional steps in the field of the language policy. In this regard we have a quite solid scientific and practical legacy. On the bases of these historical experience and rich legacy, considering the lessons of the turning ages, the latest educational task of the country is related to the fastest development of the specialized languages and the improvement of the modern terminology. This is the most urgent, national task for the development of the professional education and science and it should be one of the priorities of the state strategy.